

იანვარი, 2022-ივნისი,
2022

იანვარი, 2022-ივნისი,
2022

საინფორმაციო ბროშურა





Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



**Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი
- „საქართველოსა და უკრაინის
უსდ-ების როლის გაძლიერება ინდუსტრიულ
ტრანსფორმაციაში ინდუსტრიული პარადიგმა
4.0-ის მეშვეობით “
HEIn4
609939-EPP-1-2019-1-BE-EPPKA2-CBHE-JP**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი ბელგიის, შვედეთის, პორტუგალიის, უკრაინისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების ჩართულობით ხორციელდება.

Erasmus+ - ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით 2014 წლიდან.

ინსტიტუციური განვითარების პროექტები აგრძელებენ ყოფილი Tempus პროგრამის აქტივობებს, რომლებიც მიმართული იყო უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერისა და უნივერსიტეტებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობისა და პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარებისკენ.

HEIn4 პროექტის განხორციელების ვადები:
2020 წლის 15 იანვარი-2023 წლის 14 იანვარი

პროექტის აქტივობები

COVID-19 პანდემიას და მსოფლიოში არსებულ შეზღუდვებს 2022 წლამდე მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა პროექტის მიმდინარეობაში და დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში. თუმცა 2022 წლის მაისიდან პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მნიშვნელოვნად შემსუბუქების ფონზე,

შესაძლებელი გახდა ფიზიკური Study Visit-ების დაგეგმვა პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში. ვიზიტები ევროპული საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას, გამოცდილების გაზიარებას და კონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებში მათ სამომავლოდ დანერგვის შესაძლებლობების განხილვას ემსახურებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში უკრაინელი პარტნიორი ინსტიტუციებიდან მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელმა შეძლო ვიზიტებში მონაწილეობა. ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა უკრაინულ უნივერსიტეტებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

პროექტის პირველი Study Visit შედგა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის გენტის ტექნოლოგიურ კამპუსში 2022 წლის 2-7 მაისს. ვიზიტში მონაწილეობდნენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის 3, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 2 წარმომადგენელი.

პროექტის მეორე Study Visit შედგა პორტოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 2022 წლის 6-10 ივნისს. ვიზიტში მონაწილეობდნენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის 3, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 2 წარმომადგენელი.

დაიგეგმა ასევე მესამე Study Visit სტოკჰოლმში 2022 წლის აგვისტოს ბოლოს.

საკოორდინაციო შეხვედრები

HEIn4 პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით დაიგეგმა და შედგა რიგით მე-13, მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 საკოორდინაციო შეხვედრები

- 17.01.2022 - ონლაინ შეხვედრა**
- 04.03.2022 - ონლაინ შეხვედრა**
- 11.04.2022 - ონლაინ შეხვედრა**
- 05.05.2022 - ფიზიკური შეხვედრა**
- 09.06.2022 - ფიზიკური შეხვედრა**

საკოორდინაციო შეხვედრების ფარგლებში, პროექტის სამუშაო პაკეტების (WP) მიხედვით, გაიწერა ინსტიტუციების მიერ განსახორციელებელი აქტივობები და სამოქმედო გეგმა; პარტნიორი ინსტიტუციების მიერ წარმოდგენილი პროექტის RG-ის ხარისხის ფორმები; განხილულ იქნა ომის პირობებში უკრაინული ინსტიტუციების გეგმები; დაიგეგმა Study Visit-ები; მომზადდა პროექტის გახანგრძლივების თხოვნის ფორმა; შემუშავდა პროექტის საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია და მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩატარებული საპასუხო აქტივობების ანალიზი; განხილულ იქნა პროექტის ფინანსური ნაწილის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები; განხილულ იქნა ქართულ და უკრაინულ უნივერსიტეტებში დაარსებული მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიების ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები; მომზადდა ლაბორატორიის ბენეფიციარების უკუკავშირის სამენოვანი ფორმები (უკრაინულ-ინგლისური; ინგლისურ-ქართული); მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და სამომავლო გეგმები; ასევე, შეიქმნა ლაბორატორიების სპეციალური ვებ-გვერდები ქართულ-ინგლისურ და უკრაინულ-ინგლისურ ენებზე; პროექტის უკრაინელი პარტნიორის - უკრაინის ეროვნული მეტალურგიული აკადემიის გაერთიანება კიდევ ერთ უკრაინულ ინსტიტუციასთან; დასრულდა მუშაობა HEIn4 პროექტის რიგით მეორე მსხვილი მასშტაბის ბროშურაზე, რომელიც გამოიცა ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ელექტრონული და ბეჭდური სახით.

„პროექტის მეორე ბროშურა: ქართული უნივერსიტეტების გამოცდილება“

2022 წლის გაზაფხულზე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებით და პროექტის პარტნიორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობით მომზადდა HEIn4 პროექტის მეორე ფართომასშტაბიანი პუბლიკაცია „ქართული უნივერსიტეტების გამოცდილება“. პუბლიკაციაში გამოქვეყნდა პროექტის პარტნიორი სამივე ქართული უნივერსიტეტის მე-4 ინდუსტრიულ რევოლუციასთან დაკავშირებული საუკეთესო პროექტებისა და პრაქტიკების ამსახველი მასალები/სტატიები.

ქართულენოვანი პუბლიკაცია აერთიანებს შემდეგ საუკეთესო პრაქტიკებს:

- * „ინდუსტრია 4.0 შესაძლებლობები და გამოწვევები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- * „SMART ტექნოლოგიების გამოყენება ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- * „ინოვაციური წარმოება და საქართველოს ბაზრის მზაობა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციისთვის - შესაძლებლობები და გამოწვევები“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- * „ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების და დამტკიცების საჭიროება“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- * „ხელოვნური ინტელექტი და სამართალი მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაში“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

- * „ეფექტური სწავლების პრაქტიკა პანდემიის დროს“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- * „ციფრული ტექნოლოგიები და მათი კიბერუსაფრთხოება საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ბოლო ცვლილებების ფონზე“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- * „მიგრაციის მართვა და ინოვაციური ტექნოლოგიების ასპექტები“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- * „პანდემიის გავლენა სამსახურში ბედნიერების ინდექსის შენარჩუნებაზე“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- * „მზის მიკრო ელექტროსადგურების განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მოლოდინები „ნეტო აღრიცხვის“ რეგულაციის მიმართ“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.



პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე. ავტორების სტილი დაცულია.